

# ნუგზარ

## სხირტლაძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე

აკადემიური საქმიანობა და გამოვლენილი თვისებები/შედეგა

2

1986-1996 წლებში ნუგზარ სხირტლაძე მუშაობდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროში, სხვადასხვა პოზიციაზე. 1996-1998 წლებში მას სახელმწიფო კანცელარიაში ეკავა საქართველოს პრეზიდენტის პარლამენტთან ურთიერთობისა და კანონშემოქმედებითი საქმიანობის სამსახურის სახელმწიფო მრჩეველის თანამდებობა. 1998-1999 წლებში ნუგზარ სხირტლაძე იყო ჯერ თბილისის სააპელაციო სასამართლოს, შემდეგ კი თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე. 1999 წლიდან საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეა.

პროფესიულ საქმიანობაში გამოვლენილი გადაცდომები (დისციპლინური წარმოება, პროფესიული ეთიკა)

12

დანიშნულებები და პროფესიული საქმიანობისთვის მინიჭებული პილდოები / სტიპენდიები

13

კანონთან კონფლიქტი, ინტერესთა კონფლიქტი

14

კანდიდატის საპროექტო პირობები / კორუფციები და შედეგა

14

კანდიდატის ფინანსური ვალდებულებები და შემოსავლები

19



# 1

## კანდიდატის პროფესიული/ აკადემიური საქმიანობა და გამოვლენილი თვისებები/ქცევა

### 1. გადაწყვეტილებები, განსხვავებული აზრი, სასამართლო წარდგინებები

#### 1.1. სამართლებრივად საინტერესო ან პრეცედენტული გადაწყვეტილებები

**სამართლებრივი საკითხი:** გენდერის სამართლებრივი აღიარება. ტრანსგენდერი პირებისთვის საიდენტიფიკაციო დოკუმენტებში (პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და სხვა) სქესის ჩანაწერის ცვლილების საკითხი. სქესის შეცვლის ოპერაციის სავალდებულობა.<sup>1</sup>

**ფაქტები:** ტრანსგენდერი პირი სასამართლოში ითხოვდა იუსტიციის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტების ბათილობას, რომლითაც უარი ეთქვა სააქტო ჩანაწერში სქესის ცვლილებაზე, იმ მოტივით, რომ არ ჰქონდა ჩატარებული სქესის შეცვლის ოპერაცია. იგი ასევე ითხოვდა ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ახალი აქტის გამოცემას, სადაც მისი სქესის ცვლილება აისახებოდა.

თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებმა სარჩელი არ დააკმაყოფილეს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ, სამი მოსამართლის შემადგენლობით, რომელსაც მოსამართლე ნუგზარ სხირტლაძე თავმჯდომარეობდა, ტრანსგენდერი პირის **საკასაციო საჩივარი დაუშვებლად ცნო და არ მიიღო არსებითად განსახილველად.**

კანდიდატმა ყურადღება გაამახვილა შემდეგ სამართლებრივ საკითხებზე:

- სარჩელის დასაშვებობა

მოსამართლის განმარტებით, საკასაციო საჩივარი არ იყო დასაშვები, რადგან:

- არ არსებობდა ვარაუდი, რომ, საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად, ამ საკითხზე მიიღებოდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილება.
- სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ ეწინააღმდეგებოდა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს.

<sup>1</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 18 აპრილის განჩინება საქმეზე Nბს-579-579(კ-18).

- არ არსებობდა საქმის განხილვის, ასევე, საკასაციო სასამართლოს მიერ საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის.

პალატამ შემოაღწიშნული განმარტება გააკეთა შემდეგ გარემოებებში:

- უზენაეს სასამართლოს არსებითად არასდროს უმსჯელია მსგავს სამართლებრივ საკითხზე. კერძოდ, ამ საქმეში უზენაესმა სასამართლომ ორჯერ იმსჯელა ასეთ სამართლებრივ საკითხზე და ორივე შემთხვევაში უარი განაცხადა საჩივრის არსებითად განხილვაზე.<sup>2</sup> ეს გარემოება მიუთითებს, რომ უზენაეს სასამართლოს საკითხი შინაარსობრივად არ ჰქონდა გადაწყვეტილი.
- რაც შეეხება უზენაესი სასამართლოს არგუმენტს, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება არ ეწინააღმდეგება ევროპულ კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 2017 წელს იმსჯელა საქმეზე „**ა.პ., გარსონი და ნიკო საფრანგეთის წინააღმდეგ**“. საფრანგეთის კანონმდებლობა სამოქალაქო აქტებში სქესის ჩანაწერის ცვლილებას უკავშირებდა ქირურგიულ ოპერაციას, ან ისეთ მკურნალობას, რომელიც საბოლოოდ პირის სტერილიზაციას იწვევდა. სასამართლომ დაადგინა, რომ გენდერის აღიარების წინაპირობად ასეთი ოპერაციის ან მკურნალობის დაწესება, არღვევს კონვენციის მე-8 მუხლით დაცული პირადი ცხოვრების იმ ასპექტს, რომელიც ფიზიკურ ხელშეუხებლობას გულისხმობს. მიუხედავად იმისა, რომ ევროპული სასამართლო სამოქალაქო აქტების სტაბილურობასა და სანდოობას ლეგიტიმურ მიზნად მიიჩნევს, მისი გადაწყვეტილებით, მოცემულ შემთხვევაში სახელმწიფო ვერ იცავდა ბალანსს კერძო და საჯარო ინტერესებს შორის.<sup>3</sup>

მიუხედავად იმისა, რომ უზენაესმა სასამართლომ ტრანსგენდერი პირის საკასაციო საჩივარი, ფორმალური კრიტერიუმების გათვალისწინებით, წარმოებაში არ მიიღო, სასამართლომ საჩივრის დაუშვებლად ცნობის განჩინებაში მაინც იმსჯელა რამდენიმე არსებით სამართლებრივ საკითხზე:

მოსამართლის განმარტებით, ადგილი არ აქვს „**პოსტოპერაციული ტრანსსექსუალებისთვის**“ სააქტო ჩანაწერის შეცვლაზე უარის თქმას. ასეთ შემთხვევას მოსამართლე პირადი ცხოვრების უფლების დარღვევად მიიჩნევს, რადგან, მისი მითითებით:

- „**სახელმწიფოებს, კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების შესაბამისად, ევალებათ პოსტოპერაციული ტრანსსექსუალების მიერ სქესის შეცვლის აღიარება სამოქალაქო სტატუსთან დაკავშირებული მონაცემების შეცვლის შესაძლებლობის შექმნით.**“

მოსამართლის განმარტებით, ასევე ადგილი არ აქვს **მოსარჩელისთვის ოპერაციის გაკეთებაზე უარის თქმას, იმ მოტივით, რომ მას არ აქვს რეპროდუქციული უნარი შეზღუდული**. ასეთ შემთხვევასაც მოსამართლე პირადი ცხოვრების უფლების შელახვად მიიჩნევს და უთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებას საქმეზე **Y.Y. თურქეთის წინააღმდეგ**<sup>4</sup>.

<sup>2</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებები საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის შესახებ საქმეებზე: Nბს-653-646(კ-16), 2016/11/24 და Nბს-16-15(კ-17) 2017/03/09.

<sup>3</sup> „**ა.პ., გარსონი და ნიკო საფრანგეთის წინააღმდეგ**“, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, № 79885/12, 52471/13 და 52596/13, 2017.

<sup>4</sup> „**Y.Y. თურქეთის წინააღმდეგ**“, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, № 14793/08, 2015.

მოსამართლე ყურადღებას ამახვილებს თვითიდენტიფიკაციაზე, როგორც გენდერის სამართლებრივი აღიარების ერთადერთი საფუძვლის პრობლემურობაზე. მისი განმარტებით:

- „პირადი ცხოვრების უფლების განხორციელებაში სუბიექტური საწყისის მნიშვნელობის მიუხედავად, მხედველობაში მისაღებია, რომ პირადი ცხოვრების უფლება წინააღმდეგობაში მოვიდოდა თავად უფლების ცნებასთან, თუ იგი არ დააკმაყოფილებდა რაიმე უნივერსალურობისა და ობიექტურობის კრიტერიუმს. სამართლებრივი მნიშვნელობის მოქმედების განხორციელება ვერ დაეფუძნება მხოლოდ და მხოლოდ პირის სუბიექტურ შეხედულებებს.“

მოსამართლე ყურადღებას ამახვილებს სამოქალაქო რეესტრში არსებული ჩანაწერების სიზუსტესა და სტაბილურობაზე, როგორც პირადი ცხოვრების უფლების შეზღუდვის მიზანზე:

- „სამოქალაქო რეესტრში არსებული ჩანაწერების სიზუსტე, საიმედოობა და თანმიმდევრულობა საჯარო ინტერესს წარმოადგენს. აღნიშნული უზრუნველყოფს სამართლებრივ სტაბილურობასა და პირის სამოქალაქო სტატუსის ხელშეუვალობას. მნიშვნელოვანია, რომ სქესის შეცვლის მიზნით პირის მიერ განცდილი ცვლილებები ატარებდეს შეუქცევად ხასიათს, რაც მხოლოდ ჰორმონალური მკურნალობით ვერ მიიღწევა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მეორადი სასქესო ნიშნის კორექცია არ ადასტურებს თვით სქესის შეცვლას. საფუძველს მოკლებულია კასატორის მითითება ევროპული სასამართლოს უახლოეს პრაქტიკაზე, ვინაიდან მოსარჩელეს არ წარმოდგენია ენდოკრინოლოგის დასკვნა ჰორმონალური სქესის შეცვლის შესახებ, არ წარმოდგენილა დოკუმენტი ჰორმონოთერაპიის ჩატარებისა და, აღნიშნულის შედეგად, ცვლილებების წარუშლელი ხასიათის შესახებ.“

მოსამართლე აკეთებს უცნაურ და საინტერესო განმარტებას იმაზე, რომ სააქტო ჩანაწერში სქესის შესახებ ჩანაწერის ცვლილება სქესის შეცვლის ოპერაციის გარეშე ეწინააღმდეგება ოჯახის შესახებ ჩანაწერს საქართველოს კონსტიტუციაში:

- „საქართველოს კონსტიტუციაში ასახული სულისკვეთებით უნდა მოხდეს მოქმედი ნორმატიული მოწესრიგების განმარტება და გამოყენება. საქართველოს კონსტიტუციის 30.1 მუხლით გამოირიცხება ერთსქესიან პირთა ქორწინება. მართალია, განსახილველი დავის საგანს აღნიშნული უფლების მინიჭება არ შეადგენს, თუმცა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, არსებობს კონსტიტუციის საწინააღმდეგო სამართლებრივი და ფაქტობრივი შედეგის დადგომის რეალური შესაძლებლობა. კერძოდ, პირი, რომლის დოკუმენტაციაში მითითებული სქესი ფაქტობრივად არსებული ბიოლოგიური სქესის შესაბამისი არ იქნება, შეძლებს ბიოლოგიურად იმავე სქესის პირზე დაქორწინებას, რადგან მათ დოკუმენტურად სხვადასხვა სქესი ექნებათ დაფიქსირებული. საქართველოს კონსტიტუციით კი ერთმნიშვნელოვნად არის დადგენილი მხოლოდ ქალისა და მამაკაცის ქორწინების შესაძლებლობა.“

ამავე გადაწყვეტილებაში მოსამართლემ საინტერესოდ განმარტა სხვა მნიშვნელოვანი საკითხებიც:

**სამართლებრივი საკითხი:** სქესისა და გენდერული იდენტობის გამიჯვნა.

**კანდიდატის განმარტება:**

- „გენდერული იდენტობა არის ადამიანის შინაგანი, პირადი გრძნობების ერთობლიობა, რომელიც განაპირობებს ფსიქოემოციურ დამოკიდებულებას საკუთარ გენდერულ კუთვნილებასთან დაკავშირებით, ხოლო სქესი არის ობიექტური მახასიათებელი, სასტარტო პოზიცია, რომლითაც ადამიანი იბა-

დება და რომელსაც ბიოლოგიურ-ფიზიოლოგიური ფაქტორები განაპირობებს. სქესი არა მხოლოდ პირის გარეგნობით, არამედ, უპირველესად, ბიოლოგიურ-ანატომიური ფაქტორებით არის დეტერმინირებული.“

**სამართლებრივი საკითხი:** გენდერული იდენტობა, როგორც პირადი ცხოვრების უფლებით დაცული სიკეთე.

**კანდიდატის განმარტება:**

- „ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა, საკუთარი ცხოვრება თავისი სურვილისდა მიხედვით წარმართოს. აღნიშნულში იგულისხმება ადამიანის უფლება, თავად განსაზღვროს საკუთარი გინაობა, ცხოვრების წესი და ფორმები, გარეგნობა, გარშემომყოფებთან ურთიერთობის ინტენსივობა. პირადი ცხოვრების უფლება მოიცავს პიროვნული თვითგამორკვევის უფლებას, რაც გულისხმობს ადამიანის უფლებას, დამოუკიდებლად განსაზღვროს საკუთარი იდენტობა. ეს უკანასკნელი მოიცავს წარმოდგენების სისტემას საკუთარ თავსა და თვისებებზე, უნარებზე, გარეგნობაზე, სოციალურ ღირებულებებზე. ამ წარმოდგენების საფუძველზე ადამიანი აგებს ურთიერთობებს თავის თავთან და მესამე პირებთან. გენდერული იდენტობა კი არის განცდა, რომელიც დაკავშირებულია რომელიმე სქესთან მიკუთვნებულობის შეგრძნებასთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ პირს ხელი შეეშლება საკუთარი შეგრძნებების გამოხატვაში, ადგილი ექნება გენდერული თვითიდენტიფიკაციის უფლებით დაცულ სფეროში ჩარევას.“

**სამართლებრივი საკითხი:** პატიმრის პირადი მიმოწერის საიდუმლოება. პატიმრის კომუნიკაციის ხელშეუხებლობის ფარგლები. პატიმარსა და ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს შორის კომუნიკაციის საიდუმლოება.<sup>5</sup>

**ფაქტები:**

- მოსარჩელე მიუთითებდა, რომ პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციამ დაარღვია მისი პირადი მიმოწერის ხელშეუხებლობისა და პატივისცემის უფლება (კონვენციის მე-8 მუხლი), როდესაც:
  - მისი ნების საწინააღმდეგოდ გახსნა და წაიკითხა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოდან მისთვის გამოგზავნილი კორესპონდენცია (უდავო ფაქტობრივი გარემოება);
  - არ მიეცა „პრინტერის“ ქონისა და ამ ტექნიკით სარგებლობის შესაძლებლობა, რომლითაც უნდა მოემზადებინა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსთვის გასაგზავნი დოკუმენტები. ამიტომ, მსჯავრდებულს მოუწია ამ დოკუმენტების პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციისთვის გადაცემა ასლების გადასაღებად. ამით პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციას საშუალება მიეცა, გასცნობოდა კორესპონდენციის შინაარსს.
- მოსარჩელის მტკიცებით, დაირღვა კონვენციით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლებაც, როდესაც ციხის ადმინისტრაციის მხრიდან, სასამართლოში დაცვის მოსამზადებლად და განსახორციელებლად, არ მიეცა ტექნიკური (კომპიუტერი) საშუალებების ქონის და ამ საშუალებებით სარგებლობის უფლება, რის გამოც მან ვერ შეძლო საჩივრის შედგენა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი ფორმატით; შესაბამისად, მსჯავრდებული მიუთითებდა, რომ

<sup>5</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე Nბს-661-646(2კ-14).

დაირღვა მისი უფლება სამართლიან სასამართლოზე („ბ. ჰქონდეს საკმარისი დრო და შესაძლებლობანი საკუთარი დაცვის მოსამზადებლად; c. დაიცვას თავი პირადად“ (მუხლი ნ));

- მოსარჩელე ყურადღებას ამახვილებდა იმ გარემოებაზეც, რომ ევროპულ სასამართლოში მოპასუხე იყო სახელმწიფო. შესაბამისად, ადმინისტრაციის მხრიდან საჩივრისა და პოზიციის წინასწარ გაცნობა, ფაქტობრივად, ნიშნავდა განმცხადებლის პოზიციის წინასწარ გაცნობას მოპასუხის მიერ, რაც ამძიმებდა მისი უფლების დარღვევას;
- მოსარჩელე მიუთითებდა, რომ დაირღვა მისი დაცვის უფლებაც, როდესაც ციხის ადმინისტრაციამ დამცველს არ მისცა მასთან შეხვედრის უფლება, საადვოკატო საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტის (ადვოკატის მოწმობის) არქონის გამო.

საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებმა გაიზიარეს მოსარჩელის პოზიცია ისეთ საკითხებთან მიმართებით, როგორცაა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსთან კომუნიკაციის (კორესპონდენციის) ხელყოფა სასჯელსრულების დეპარტამენტის მიერ და ამით მისი პირადი მიმოწერის ხელშეუხებლობისა და პატივისცემის უფლების დარღვევა. შესაბამისად, მოსარჩელეს, ზიანის ანაზღაურების სახით, 300 ლარი მიაკუთვნეს. სხვა ნაწილში სასამართლომ მოსარჩელის პოზიცია არ გაიზიარა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ, რომელსაც ნუგზარ სხირტლაძე თავმჯდომარეობდა, ძირითადად გაიზიარა ქვედა ინსტანციების სასამართლოთა შეფასებები, თუმცა არ დაეთანხმა მორალური ზიანის ოდენობის ნაწილს და კომპენსაციის ოდენობა 1000 ლარამდე გაზარდა.

მოსამართლემ ყურადღება გაამახვილა რამდენიმე საინტერესო **სამართლებრივ საკითხზე**:

- „სახელმწიფოს მიერ უფლებების [პირადი ცხოვრების, პირადი მიმოწერის თავისუფლება] დაცვა უზრუნველყოფილი უნდა იქნეს პირის პატიმრობის შემთხვევაშიც. სასამართლო განაჩენის საფუძველზე პირისათვის თავისუფლების აღკვეთა არ ართმევს პირს საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო აქტებით გარანტირებულ უფლებებს, თუმცა, პატიმრებთან მიმართებით, შესაძლოა განხორციელდეს ლეგიტიმური მიზნითა და კანონით დადგენილი საფუძველებით აღნიშნული უფლებების შეზღუდვა. [...] ცენზურის არსებობა პატიმართა კორესპონდენციებზე დასაშვებია მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში. ამასთანავე, უწესრიგობისა და დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით, გამართლებულად შეიძლება ჩაითვალოს პატიმართან მიმართებაში უფრო ფართო ჩარევის განხორციელება, ვიდრე თავისუფლებაში მყოფი პირის შემთხვევაში.“
- „პატიმრის ევროსასამართლოსთან მიმოწერის კონფიდენციალობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ის შეიძლება შეიცავდეს სახელმწიფო ორგანოთა ან პენიტენციური სისტემის მოხელეთა მაკომპრომიტირებელ მონაცემებს. შესაბამისად, შესაძლოა კორესპონდენციაში ასახული ინფორმაციის დაცვის ინტერესი პატიმარს უპირველესად სწორედ სახელმწიფო ორგანოთა მიმართ ჰქონდეს.“

შედეგად, მოსამართლემ დაადგინა, რომ მსგავსი კორესპონდენციის შინაარსობრივი კონტროლი არ იყო დაშვებული საქართველოს კანონმდებლობით. ასეთის დაშვების შემთხვევაშიც, მისი აზრით, არ არსებობდა რაიმე სამართლებრივი სიკეთე, რომელიც მსგავს კონტროლს გაამართლებდა. შესაბამისად, მან ჩათვალა, რომ დაირღვა პატიმრის პირადი მიმოწერის ხელშეუხებლობის უფლება.

- მოსამართლის განმარტებით, კანონი ითვალისწინებს მხოლოდ „მოთხოვნის შემთხვევაში ადმინისტრაციის მიერ ბრალდებულის/მსჯავრდებულის საწერი საშუალებებითა და ქაღალდით უზრუნველყოფის ვალდებულებას. კანონმდებლობა ადმინისტრაციას არ უყენებს ბრალდებულის/მსჯავრდებულის

პერსონალური კომპიუტერით უზრუნველყოფის მოთხოვნას. შესაბამისად, კომპიუტერული ტექნიკის პატიმრისათვის ინდივიდუალურ სარგებლობაში გადაცემაზე უარის თქმა ვერ იქნება მიჩნეული მართლსაწინააღმდეგო ქმედებად.<sup>6</sup>

- „პატიმრის მიერ პირისათვის მინდობილობის გაცემა თავისთავად არ ნიშნავს იმას, რომ რწმუნებული უფლებამოსილია, განახორციელოს პატიმრის დაცვა. რწმუნებული უნდა იყოს ადვოკატი და ახორციელებდეს საადვოკატო საქმიანობას, ხოლო „ადვოკატთა შესახებ“ კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ადვოკატად მიიჩნევა პირი, რომელიც გაწვევრიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში.“

**სამართლებრივი საკითხი:** თანამდებობის პირთა პრემიის ოდენობაზე ინფორმაციის გაცემის ვალდებულება; ინფორმაციის თავისუფლებისა და სახელმწიფო ინსტიტუტების საქმიანობის გამჭვირვალობის მნიშვნელობა დემოკრატიულ წესწყობილებაში; საზოგადოების მაღალი ინტერესი, ჰქონდეს ინფორმაცია საჯარო პირების, თანამდებობის პირებისა და თანამდებობაზე წარსადგენი პირების შესახებ.<sup>6</sup>

მოსამართლემ საჯარო დაწესებულება დაავალდებულა, გაეცა ინფორმაცია თანამდებობის პირთა მიერ მიღებულ პრემიაზე. მან ყურადღება გაამახვილა რამდენიმე მნიშვნელოვან სამართლებრივ საკითხზე:

- „მოქალაქის ლეგიტიმური უფლებაა, იცოდეს, თუ ზოგადად რა რაოდენობის თანხა გაიცა პრემიების სახით, რა პროპორციით განაწილდა ეს თანხები თანამდებობის პირებს შორის“.
- „დემოკრატიული წესწყობილებისათვის დამახასიათებელია სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების საქმიანობის მაქსიმალური გამჭვირვალობა. [...] ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის გამჭვირვალობა სახელმწიფო მმართველობის კანონიერებისა და ლეგიტიმურობის პროპორციულია. საჯარო სამსახურის საქვეყნოობა საჯარო სამსახურის საქმიანობის ძირითადი პრინციპია, დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილებისთვის. მოსამსახურეთა შრომითი გასამრჯელოს (ხელფასის) ფონდის ფორმირების წყაროა ბიუჯეტი.“
- „მონაცემთა სამართლებრივ რეჟიმზე ზემოქმედებს პირის სტატუსი: კერძოდ, საჯარო პირების მონაცემთა დაცვის რეჟიმი განსხვავდება სხვა პირების სამართლებრივი დაცვის რეჟიმისაგან. საჯარო პირების მიმართ კერძო ცხოვრების შესახებ ინფორმაციის დაცვასთან შედარებით, ინფორმაციის თავისუფლებას პრიორიტეტული მდგომარეობა ენიჭება, ვინაიდან საჯარო საქმიანობაზე პრეტენზიის მქონე პირი იმთავითვე ერთგვარ მზადყოფნას აცხადებს მის კერძო ცხოვრების სფეროში შესაძლო შეღწევაზე. თანამდებობის პირის მითითება იმაზე, რომ ინფორმაცია მის პირად სფეროს ეხება, არ ადასტურებს მისი თანხმობის გარეშე ინფორმაციის გაცემის შეუძლებლობას. საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად მონაწილე საჯარო პირი მზად უნდა იყოს იმისთვის, რომ მისი კერძო ცხოვრების დეტალები შესაძლოა იქცეს საზოგადოების და მასმედიის ინტერესის ობიექტად. აღნიშნული განაპირობებს არა მხოლოდ პოლიტიკოსებისა და სხვა საჯარო მოხელეთა, არამედ კანდიდატების კერძო ცხოვრების ერთგვარ ღიაობას, მათი პერსონალური მონაცემების ხელმისაწვდომობას.“

**სამართლებრივი საკითხი:** საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელისა და შესაბამისი უფლებამოსილი პირის გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული

<sup>6</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე Nბს-403-398(კ-14).

ბული მიმოწერა ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, როგორც საჯარო და ღია ინფორმაცია; საჯარო დაწესებულებათა გამარტივებულ შესყიდვებზე ინფორმაციის საჯაროობა და მისი მნიშვნელობა.<sup>7</sup>

**ფაქტები:** მოსარჩელე არასამთავრობო ორგანიზაცია იუსტიციის სამინისტროსგან ითხოვდა, გადაუდებელი აუცილებლობისას გაეცა ელექტრონული ფოსტით განხორციელებული მიმოწერა სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით, როგორც საჯარო ინფორმაცია. თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებმა მოსარჩელის მოთხოვნა არ დააკმაყოფილეს, რაც უზენაესმა სასამართლომ არ გაიზიარა და გააკეთა მნიშვნელოვანი და პრეცედენტული განმარტება:

- „სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტა შესაბამისი უფლებამოსილი პირების მიერ, როგორც წესი, გამოიყენება სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას, ფასთა კვლევის მიზნით. ასეთი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა კი მნიშვნელოვანია, როცა ხორციელდება გამარტივებული შესყიდვები, ე.ი. როდესაც კანონი უშვებს სახელმწიფო ბიუჯეტის თანხის განკარგვას ნაკლები საჯარო მონიტორინგის პირობებში.“

ამიტომ, მოსამართლე ნუგზარ სხირტლაძემ მიიჩნია, რომ „სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტით სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით გაგზავნილი და მიღებული ინფორმაცია, მით უფრო, თუ იგი ეხება გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეულ სახელმწიფო შესყიდვებს, წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს ნებისმიერი პირისთვის.“

**სამართლებრივი საკითხი:** სახელმწიფოს ვალდებულება, ანაზღაუროს უკანონო ადმინისტრაციული დაკავებით მიყენებული ზიანი.<sup>8</sup>

**ფაქტები:** პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოები უთითებდნენ, რომ სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილი, ჩამოთვლილი უკანონო ქმედებების შემთხვევაში, სახელმწიფოს აკისრებს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას, მოხელის ბრალის მიუხედავად. ამასთან, მართალია, ეს ნორმა პირდაპირ არ ითვალისწინებს „უკანონო ადმინისტრაციული დაკავების“ სპეციალურ შემთხვევას, თუმცა მოიცავს „უკანონო ადმინისტრაციული პატიმრობით“ მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. ამიტომ, ქვედა ინსტანციების სასამართლოებმა, გაითვალისწინეს რა მსხვერპლის უფლების აღდგენისა და დაცვის სამართლებრივი მექანიზმების აუცილებლობის მნიშვნელობა, ნორმა განმარტეს ფართოდ:

- „ადმინისტრაციულ დაკავებასა და ადმინისტრაციულ პატიმრობას შორის განსხვავება არის მის ინტენსივობასა და ხარისხში. ამასთან, ადმინისტრაციული დაკავება არის უზრუნველყოფის ღონისძიება, ხოლო ადმინისტრაციული პატიმრობა წარმოადგენს ადმინისტრაციული სახდელის სახეს. თუმცადა, თავისი არსით, პირისთვის კონსტიტუციით გათვალისწინებული უფლებების - თავისუფალი მიმოსვლის უფლების შეზღუდვა და დამდგარი ნეგატიური შედეგები, რაც გამოიხატება კონკრეტულ დაწესებულებაში გარკვეული დროით მოთავსებაში, პირის რეპუტაციაზე გავლენის მოხდენაში, უარყოფითი განცდების წარმოქმნაში, ისინი ერთმანეთს ჰგვანან. სწორედ ამიტომ, სასამართლო ვერ გაიზიარებს მოპასუხის მითითებას იმის თაობაზე, რომ ადმინისტრაციული დაკავება არ ექცევა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ შემადგენლობაში.“

<sup>7</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე Nბს-286-284(კ-17).

<sup>8</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე Nბს-1143-1137(2კ-17).



უმენაესმა სასამართლომ, ნუგზარ სხირტლადის მონაწილეობით, ეს მსჯელობა არ გაიზიარა და დაადგინა: მხოლოდ იმით, რომ ნორმაში პირდაპირ მითითებული არ არის „უკანონო ადმინისტრაციული დაკავებით“ მიყენებული ზიანის ანაზღაურება, მოსარჩევეებს ზიანის ამ წესით ანაზღაურების მოთხოვნის უფლება არ ჰქონდათ.

**სამართლებრივი საკითხი:** სახელმწიფო უწყებების ღიაობისა და საჯაროობის როლი დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნქციონირებაში<sup>9</sup>:

- გადაწყვეტილებაში მოსამართლე მსჯელობს სახელმწიფო უწყებების ღიაობისა და საჯაროობის მნიშვნელობასა და როლზე. კერძოდ, მოსამართლე მიუთითებს, რომ „ინფორმაციის ღიაობა ადმინისტრაციულ ორგანოებში არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის, რადგან ის არის სახელმწიფოს მიერ მის მოსახლეობასთან ანგარიშვალდებულებისა და მისი საქმიანობის გამჭვირვალობის გარანტი, რომელიც საზოგადოებას აძლევს შესაძლებლობას, გაუწიოს კონტროლი ხელისუფლების მოქმედებებს და შებოჭოს ისინი, თუ ადგილი ექნება მისი დისკრეციული უფლებამოსილების გადამეტებას თუ კანონშესაბამობას.“

**სამართლებრივი საკითხი:** მოსამართლის ხედვა საჯარო უწყებების მიმართ საზოგადოებრივი ნდობისა და პოლიციის რეპუტაციის შესახებ<sup>10</sup>:

- მოსამართლე გადაწყვეტილებაში უთითებს, რომ „დემოკრატიულ საზოგადოებაში, ზოგადად საჯარო სამსახურის და განსაკუთრებით პოლიციელის მიმართ, საზოგადოების ნდობის ჩამოყალიბება და დაცვა უმნიშვნელოვანეს ლეგიტიმურ საჯარო ინტერესს წარმოადგენს, რამდენადაც საჯარო სამსახურის და განსაკუთრებით პოლიციის საქმიანობის ეფექტურობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საზოგადოების ნდობასა და საჯარო სამსახურის ავტორიტეტზე, რაც შესაბამისად საჯარო მოსამსახურეების და პოლიციელების სათანადო ქცევითა და საქმიანობით მიიღწევა. პოლიციელთა ქცევისა და მათ მიმართ ნდობის განსაკუთრებული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ საზოგადოებაში პოლიციელი აღქმულია კანონისა და ზნეობრივი ნორმების განუხრელად შემსრულებლად და საზოგადოებაში მათი დაცვის გარანტად.“

## 1.2. პოზიცია ჯგუფების/უმცირესობების მიმართ

**სამართლებრივი საკითხი:** მოსამართლის პოზიცია სახელმწიფოს როლზე ლგბტ პირთა აღქმასა და მათ პატივისცემასთან მიმართებით.

**კანდიდატის განმარტებით:**

- „კასატორი [ტრანსგენდერი პირი] მიუთითებს, რომ ჩატარებული ჰორმონალური მკურნალობისა და გარეგნული ცვლილებების ფონზე, თავს კომფორტულად გრძნობს და არ საჭიროებს ქირურგიული ოპერაციის ჩატარებას. ხსენებული პოზიცია იმსახურებს სახელმწიფოს მხრიდან პატივისცემასა და

<sup>9</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე Nბს-286-284(კ-17).

<sup>10</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე Nბს-809-805(3კ-17).

დაცვას, თუმცა საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადამიანის შეგრძნებები და სუბიექტური შეხედულებები ვერ შეცვლის ფაქტობრივ მოცემულობას – პირის სქესს.<sup>11</sup>

- მოსამართლე „ერთი და იმავე სქესის მქონე პირთა ქორწინებას“ გადაწყვეტილებაში მოიხსენიებს „ერთსქესიანთა ქორწინებად“.<sup>12</sup>

### 1.3. უზენაესი/საკონსტიტუციო და საერთაშორისო/რეგიონული სასამართლოების პრაქტიკის გამოყენება

---

**სამართლებრივი საკითხი:** საადვოკატო საქმიანობის ბუნება და მისი მნიშვნელობა. სახელმწიფოს ვალდებულება, უზრუნველყოს კვალიფიციური და ეფექტიანი დაცვა.<sup>13</sup>

ამ საკითხზე მსჯელობისას მოსამართლე ეყრდნობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას:

- „საადვოკატო საქმიანობა საჯარო საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოვლინებად მიიჩნევა (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 30.11.05წ. N1/5/323 გადაწყვეტილება), საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლი გულისხმობს ადამიანის არამხოლოდ ადვოკატით უზრუნველყოფას, არამედ კვალიფიციური და ეფექტური დაცვის განხორციელებას. საადვოკატო საქმიანობა გულისხმობს საადვოკატო საქმიანობის განხორციელებას შესაბამისი ცოდნის და კვალიფიკაციის მქონე იურისტის მიერ.“ მოსამართლე იქვე უთითებს სახელმწიფოს ჩარევის შესაძლებლობაზე შემდეგი გზით: განსაზღვროს სასამართლოზე ადვოკატთა დასწრებისა და დასაშვები პირების საჭირო კვალიფიკაციისა და პროფესიული ქცევის წესები (Ensslin and Others v. Germany, The Law, B, §20).

**სამართლებრივი საკითხი:** დაცულია თუ არა სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტით მიმოწერა პირადი ცხოვრების უფლებით.<sup>14</sup>

ამ საკითხზე მსჯელობისას, მოსამართლე მართებულად იყენებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას. კერძოდ:

- „საკასაციო სასამართლო მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზე, სადაც განმარტებულია, რომ სამსახურიდან გაგზავნილი და მიღებული „მეილები“, შესაძლებელია მოექცეს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ქვეშ. საქმეებში – Niemietz v. Germany და Halford v. the united kingdom, სასამართლომ აღნიშნა, რომ პროფესიული თუ ბიზნეს აქტივობები არ არის თავისთავად გამორიცხული კონვენციის მე-8 მუხლით დაცული სფეროდან (პირადი ცხოვრება). აღნიშნულს ადგილი აქვს მაშინ, როდესაც საქმიანობა ხორციელდება პირის საცხოვრებელი ადგილიდან ან მაშინ, როდესაც ის ხორციელდება სამუშაო ადგილიდან, თუმცა აქვს პირადი ხასიათი.“

---

<sup>11</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 18 აპრილის განჩინება საქმეზე Nბს-579-579(კ-18).

<sup>12</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 18 აპრილის განჩინება საქმეზე Nბს-579-579(კ-18).

<sup>13</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე Nბს-661-646(2კ-14).

<sup>14</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე Nბს-286-284(კ-17).

**სამართლებრივი საკითხი:** სახელმწიფოს უკანონო ქმედების ბუნება და მისგან გამოწვეული ზიანი.<sup>15</sup> უზენაესი სასამართლო სახელმწიფოს მიერ მიყენებული ზიანის გამომწვევ ქმედებასთან დაკავშირებით განმარტავს:

- „ადმინისტრაციული ორგანოს ზიანის მიმყენებელი ქმედება არსებითად არ განსხვავდება კერძო პირის ანალოგიური ქმედებისგან. შესაბამისად, [საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული] კოდექსის 207-ე მუხლით განსაზღვრულ იქნა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმებისა და პრინციპების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებზე, რაც გამოიხატა პასუხისმგებლობის სახეების დადგენით სამოქალაქო კოდექსზე მითითებით, იმ გამონაკლისების გარდა, რაც თავად ამ კოდექსით არის გათვალისწინებული.“

თუმცა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საპირისპიროდ იმსჯელა იმავე საკითხზე:

- „სახელმწიფო რესურსის მასშტაბის, მოცულობის და ბუნების გათვალისწინებით, სახელმწიფოს მხრიდან არამართლზომიერ ქმედებათა განხორციელება ხშირ შემთხვევაში გაცილებით მეტი საფრთხის შემცველია კერძო სუბიექტების მხრიდან განხორციელებულ ანალოგიური სახის ქმედებასთან შედარებით. ამიტომ, მიყენებული ზარალის ანაზღაურების ვალდებულების დაწესება ხელს უწყობს სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკების და თვითმმართველობის ორგანოთა და თანამდებობის პირთა თვითნებობის და ძალაუფლების უკანონოდ გამოყენების პრევენციას.“<sup>16</sup>

**სამართლებრივი საკითხი:** ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევა.<sup>17</sup>

ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის საკითხზე მსჯელობისას, მოსამართლე მართებულად უთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1991 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილებას საქმეზე „ობსერვერი და გარდიანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ (The Observer and Guardian v. The United Kingdom): „კონფიდენციალური ინფორმაციის გახმაურების და მაშასადამე კონფიდენციალობის დაკარგვის შემთხვევაში, მისი შემდგომი დაცვა არ მიიჩნევა „აუცილებლად დემოკრატიულ საზოგადოებაში“.

**სამართლებრივი საკითხი:** პატიმრის პირადი მიმოწერის ხელშეუხებლობისა და ამ უფლებაში ჩარევის ევროპული სტანდარტები.<sup>18</sup>

<sup>15</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე Nბს-1143-1137(2კ-17).

<sup>16</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე N23/630.

<sup>17</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე Nბს-33-32(კ-16), გვ. 15.

<sup>18</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე Nბს-661-646(2კ-14).

მოსამართლე პატიმრის პირადი მიმოწერის ხელშეუხებლობასა და მასში ჩარევებზე მსჯელობისას ფართოდ აანალიზებს და მართებულად იყენებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით დადგენილ სტანდარტებსა და მიდგომას.<sup>19</sup>

**სამართლებრივი საკითხი:** საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული შრომის თავისუფლების განმარტება.<sup>20</sup>

მოსამართლე გადაწყვეტილებაში განმარტავს საქართველოს კონსტიტუციით დაცულ შრომის თავისუფლებას, რა დროსაც მიუთითებს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე N2/2-389, 26/10/2007). მისი თქმით, „შრომის თავისუფლება, საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ნიშნავს არა მხოლოდ ადამიანის უფლებას, თავად განკარგოს საკუთარი შესაძლებლობები შრომით საქმიანობაში, თავად აირჩიოს შრომითი საქმიანობის ესა თუ ის ფერო, არამედ აგრეთვე სახელმწიფოს ვალდებულებას, იზრუნოს მოქალაქეთა დასაქმებაზე და დაიცვას მათი შრომითი უფლებები.“

აღსანიშნავია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის მიერ მითითებულ გადაწყვეტილებაში (N2/2-389) სახელმწიფოს ვალდებულება შრომის თავისუფლების ფარგლებში – იზრუნოს მოქალაქეთა დასაქმებაზე – განმარტებული არ არის. ეს მსჯელობა წარმოდგენილია გადაწყვეტილების არა სამოტივაციო, არამედ აღწერილობით ნაწილში (როგორც მოსარჩელის პოზიცია). შესაბამისად, ამ ნაწილში მსჯელობას ვერ განვიხილავთ საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციად.

<sup>19</sup> „გოლდერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, № 4451/70, 1975; „სილვერი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, № 7136/75, 1983; „გალასინასი ლიეტუვას წინააღმდეგ“, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, № 44558/98, 2001; „ლაბიტა იტალიის წინააღმდეგ“, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, № 26772/95, 2000; „ამანნი შვეიცარიის წინააღმდეგ“, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, № 27798/95, 2000.

<sup>20</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე Nბს-809-805(3კ-17).

## 2. პროფესიულ საქმიანობაში გამოვლენილი გადაცდომები (დისციპლინური წარმოება, პროფესიული ეთიკა)

### 1. დისციპლინური წარმოება – არსებული საჩივრები

- სადისციპლინო კოლეგიას კანდიდატის მიმართ დისციპლინური სახდელი ან ზემოქმედების ღონისძიება არ გამოუყენებია, თუმცა, ფიქსირდება ერთი შემთხვევა: 2015 წელს შპს „მეტალინვესტის“ დამფუძნებელმა მურთაზ უგულავამ დისციპლინური საჩივარი შეიტანა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების, ნუგზარ სხირტლადის, მაია ვაჩაძის და ლევან მურუსიძის მიმართ. განმცხადე-

ბელი მიუთითებდა, რომ უზენაესი სასამართლოს ამ შემადგენლობამ არასწორად, კანონის მოთხოვნათა დარღვევით, დაუშვებლად ცნო მისი საკასაციო საჩივარი.<sup>1</sup> ამ დისციპლინურ საჩივარზე (№ 253/15) იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ საქმისწარმოება შეწყვიტა.<sup>2</sup>

## 2. პროფესიული ეთიკის ნორმების სავარაუდო დარღვევა

- ეთიკის ნორმების დარღვევა არ ფიქსირდება.

<sup>1</sup> „მეტალინვესტის“ ხმაურიანი საქმე – რა კავშირი აქვს დავასთან ირაკლი ეზუგბაიას ცოლს და ნიკა გილაურის ძმას?! იხ. <http://bit.ly/2MWSJ>

<sup>2</sup> „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ „მეტალინვესტის“ გაკოტრების საქმეზე კვლევა და რეკომენდაციები გამოაქვეყნეს იხ. <http://bit.ly/2YTmzZw>

# 3. დანინაურებები და პროფესიული საქმიანობისთვის მინიჭებული ჯილდოები / სტიპენდიები

## 1. კარიერული განვითარება

- 1986-1996 წლებში საქართველოს იუსტიციის სამინისტროში ნუგზარ სხირტლაძეს ეკავა სხვადასხვა თანამდებობა. 1996-1998 წლებში იგი მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო კანცელარიაში – საქართველოს პრეზიდენტის პარლამენტთან ურთიერთობისა და კანონშემოქმედებითი საქმიანობის სამსახურის სახელმწიფო მრჩევლად.
- 1998 წელს იგი დაინიშნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ, 1999 წლის მაისიდან კი იყო თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარე. 1999 წლის 20 ივლისიდან ნუგზარ სხირტლაძე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეა. 2009 წლის 20 ივლისიდან ის განმეორებითი ვადით აირჩიეს იმავე თანამდებობაზე.
- მოსამართლე ნუგზარ სხირტლაძეს სამოსამართლო უფლებამოსილების 10-წლიანი ვადა 2019 წლის 20 ივლისს ეწურებოდა, თუმცა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 9 ივლისის გადაწყვეტილებით, ეს ვადა გაუგრძელდა მისი მონაწილეობით დაწყებულ საქმეებზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე (მაგრამ არაუმეტეს ვაკანტურ ადგილზე უზენაესი სასამართლოს მოსამართლის არჩევამდე).
- 2013-2019 წლებში კანდიდატი ნუგზარ სხირტლაძე იყო უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის, ხოლო 2015-2017 წლებში – საკვალიფიკაციო პალატის წევრი.

## 2. მიღებული ჯილდო / სტიპენდია

- 1993 წელს მოსამართლე ნუგზარ სხირტლაძეს იუსტიციის სამინისტროს სპეციალურმა საატესტაციო კომისიამ მიანიჭა იუსტიციის მრჩევლის წოდება.

# 4.

## კანონთან კონფლიქტი, ინტერესთა კონფლიქტი

### 1. სისხლისსამართლებრივი კასუსისგვებლობა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევები / ჯარიმები, სასამართლო დავები

- მოსამართლე ნუგზარ სხირტლაძე ნასამართლევი არ არის.
- კანდიდატის მიმართ ადმინისტრაციული სახდელი არ გამოყენებულა.
- სასამართლო დავებში ნუგზარ სხირტლაძე არ მონაწილეობდა მხარედ.

### 2. პარტიული კუთვნილება, ინტერესთა კონფლიქტი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთან, კავშირი პოლიტიკოსებთან / გავლენიან ადამიანებთან

- მოსამართლე ნუგზარ სხირტლაძე არასოდეს ყოფილა რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი.
- ნუგზარ სხირტლაძის კავშირი პოლიტიკოსებთან/გავლენიან ადამიანებთან არ დგინდება.

# 5.

## კანდიდატის საჯარო აქტივობები / კოზიციები და ქცევა

### 1. სოციალურ ქსელში დაფიქსირებული მოსაზრებები

მოსამართლე ნუგზარ სხირტლაძე არ იყენებს სოციალურ ქსელებს. მას არ აქვს არც პერსონალური პროფილი და არც ოფიციალურ თანამდებობასთან დაკავშირებული გვერდი.

### 2. ნუგზარ სხირტლაძის საჯარო განცხადებები

- კანდიდატის განცხადება უზენაესი სასამართლოს მოქმედ მოსამართლეთა უფლებამოსილების ვადის განუსაზღვრელ ვადად გარდაქმნაზე.

მოსამართლე ნუგზარ სხირტლაძემ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სხვა მოსამართლეებთან ერთად, 2019 წლის 15 მაისს საქართველოს პარლამენტს მიმართა, რომ განეხილა უზენაესი სასამართლოს მოქმედ მოსამართლეთა უფლებამოსილების ვადის განუსაზღვრელ ვადად (საპენსიო ასაკის მიღწევამდე) გარდაქმნის საკითხი. კერძოდ, განცხადებაში აღნიშნულია: „საქართველოს ახალმა კონსტიტუციამ საფუძველი ჩაუყარა პარლამენტის მიერ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა უვადოდ არჩევას. უზენაესი სასამართლოს მოსამართლის უვადო მანდატით გამწესება მისი დამოუკიდებლობისა და

მიუკერძოებლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტიაა, რაც საქართველოში განხორციელებული საკონსტიტუციო რეფორმის მონაპოვარია. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განისაზღვრა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა უვადოდ არჩევის წესი და პირობები. ამასთან, უზენაესი სასამართლოს მოქმედ მოსამართლეთა უვადოდ გადანიშნვის საკითხი ამ კანონის რეგულირების მიღმა დარჩა. „უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევისა და გამწესების შესახებ“ ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიის მიერ მომზადებული 2019 წლის 16 აპრილის დასკვნით, საქართველოს პარლამენტს მიეცა რეკომენდაცია, რომლის თანახმადაც: „პარლამენტმა უნდა განიხილოს უზენაესი სასამართლოს მოქმედი მოსამართლეების უფლებამოსილების განსაზღვრული ვადის განუსაზღვრელ ვადად გარდაქმნის საკითხი. აღნიშნული აუცილებელია იმის უზრუნველსაყოფად, რომ, სულ მცირე, 11-მა გამოცდილმა მოსამართლემ გააგრძელოს უზენაეს სასამართლოში საქმიანობა, რითაც (ა) გარკვეულწილად შემსუბუქდება ის შედეგი, რომელიც ახლავს პარლამენტის მიერ სრულიად ახალი უზენაესი სასამართლოს შექმნას და (ბ) გამოცდილი მოსამართლეების გარკვეული რაოდენობა, და არა მხოლოდ ახლადარჩეული მოსამართლეები, განიხილავს საქმეებს, რაც ხელს შეუწყობს უზენაესი სასამართლოს ინსტიტუციურ სტაბილურობასა და თანმიმდევრულობას.“<sup>1</sup>

### 3. კანდიდატ ნუგზარ სხირტლაძის გასაუბრება იუსტიციის უმაღლეს საბჭოში



იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრის, ირმა გელაშვილის შეკითხვა ნუგზარ სხირტლაძეს: „მოსამართლე ფიცს დებს ღვთისა და ერის წინაშე, ისევე, როგორც პრეზიდენტი. თუ მოსამართლე იტყვის უარს ღვთის წინაშე დაფიცებაზე, როგორ ფიქრობთ, ეს რელიგიის თავისუფლებაში მოთავსდება? როგორია თქვენი აზრი, ფიცს რა დატვირთვა აქვს, ეს არის ტრადიციული, სიმბოლური მნიშვნელობის, თუ სამართლებრივი დატვირთვაც აქვს? პრეზიდენტმაც რომ არ დაიფიცოს, კონსტიტუციის დარღვევა იქნება?“

ნუგზარ სხირტლაძის პასუხი:

**“ ფიცს აქვს არა მხოლოდ სამართლებრივი, არამედ, რა თქმა უნდა, სიმბოლური დატვირთვაც. ერთი ანალოგია მახსენდება, „დომიტრასი საბერძნეთის წინააღმდეგ“, სადაც პიროვნებამ გაასაჩივრა ის, რომ საბერძნეთის სასამართლოში ეკითხებოდნენ, იყო თუ არა ის მართლმადიდებელი, და თუ არ იყო, მაშინ უნდა ეთქვა, ვინ იყო, რომელი რელიგიის მიმდევარი. შესაბამისი მოტივაციით, ამ საკითხზე დარღვევა დაფიქსირდა. საქართველოში ასეთი რამ არ გამიგია, თუმცა, რომ დადგეს ასეთი საკითხი, ნამდვილად მოსაფიქრებელი იქნება. მე პირადად ფიცს სამართლებრივ მნიშვნელობას ვანიჭებ და, ზოგიერთ შემთხვევაში, გაუფასურდა ეს ფიცი. ამას უნდა ამაღლებული გარემო, ჩემი აზრით.“**



იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრის, ირაკლი ბონდარენკოს შეკითხვა კანდიდატს: „უნდა იყოს თუ არა უვადოდ განწესებული უზენაესი სასამართლოს მოსამართლე? რატომ არ ინიშნება საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე უვადოდ და რატომ უნდა იყოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე უვადოდ?“

ნუგზარ სხირტლაძის პასუხი:

**“ მე რამდენადაც ვიცი, ეს პოზიცია საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართ, რომ [მოსამართლე] ვადიანად არის და გადარჩევა აღარ ხდება, მნიშვნელოვანწილად არის განპირობებული იმით,**

<sup>1</sup> უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები მიმართავენ პარლამენტს, რომ განიხილოს მოსამართლეთა უფლებამოსილების ვადის განუსაზღვრელ ვადად გარდაქმნის საკითხი, 2019 წლის 15 მაისი, ხელმისაწვდომია: <http://www.info9.ge/samarthali/209>.

რომ საკონსტიტუციო სასამართლო, საერთო სასამართლოებისაგან, უზენაესი სასამართლოსაგან განსხვავებით, უფრო მეტად არის ჩართული პოლიტიკის სფეროში, მიზანშეწონილობის საკითხების გადაწყვეტაში. შესაძლოა ამის გამო. პრინციპში, უზენაესი სასამართლო, საკასაციო სასამართლო, შემოიფარგლება უფრო მეტად დავის სამართლებრივი ასპექტებით და, შესაბამისად, აქ უფრო მეტად შესაძლებელია, რომ სტატუსი იყოს სტაბილური და არ იცვლებოდეს.“



იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრის, რემზო ნადარაიას შეკითხვა კანდიდატს: კერძო პირის ცილისწამებასა და საჯარო პირის ცილისწამებას შორის რა სხვაობაა? რა უნდა ამტკიცოს მომჩივანმა ერთ შემთხვევაში და მეორე შემთხვევაში?

ნუგზარ სხირტლაძის პასუხი:



აბსოლუტურ პრივილეგიას და კვალიფიციურ პრივილეგიას ითვალისწინებს კანონმდებლობა. აბსოლუტური პრივილეგია ეხება წყაროებს, ანუ თუ, ვთქვათ, პირი არ ამჟღავნებს [წყაროს], ეს გარემოება არ შეიძლება იყოს, ვთქვათ, საფუძველი საქმის, ვთქვათ, მის საწინააღმდეგოდ გადაწყვეტისა. რაც შეეხება კვალიფიციურ პრივილეგიას, თუ თანამდებობის პირია სარჩელის სუბიექტი, მან უნდა დაასაბუთოს არა მხოლოდ ის, რომ გავრცელებული ინფორმაცია არ არის სწორი, არამედ უნდა დაასაბუთოს, რომ ჟურნალისტმა ან განზრახ გავრცელა არასწორი ინფორმაცია, ან გაავრცელა ისე, რომ ამკარა დაუდევრობა გამოავლინა და არ გადაამოწმა ეს ფაქტები... გარდა ამისა, მოგეხსენებათ, პირად არაქონებრივ უფლებებზე ხანდაზმულობის ვადა ამ შემთხვევაში, ცილისწამებასთან დაკავშირებით, 100 დღეა განსაზღვრული.“



იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრის, ვასილ მშვინიძის შეკითხვა კანდიდატს: „როცა საბჭოს არამოსამართლე წევრი აკეთებს პოლიტიკურ განცხადებას, რომელიც საერთოდ არ არის სასამართლოსთან კავშირში და ამ ყველაფერს აკეთებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ლოგოს ფონზე, რამდენად სწორია, თქვენი აზრით?“

ნუგზარ სხირტლაძის პასუხი:



მე ვთვლი, რომ იუსტიციის საბჭო არის ძალიან ორიგინალური ორგანო იმ თვალსაზრისით, რომ ის იმყოფება სამი ხელისუფლების კვეთაზე. აქ არიან სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლები, პარლამენტის მიერ არჩეული წევრები და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები. ამიტომ, გარკვეული დაპირისპირება შესაძლოა ამ ფაქტორითაც იყოს გამოწვეული. კარგი იქნება, თუ იუსტიციის საბჭო შეინარჩუნებს რეგულირების შიდა მექანიზმებს: მაგალითად, შემუშავდებოდა ქცევის წესები და იქნებოდა რაღაც ორგანო, რომელიც ამ საკითხებს განიხილავდა. მე, მაგალითად, არ ვარ მაინცდამაინც მომხრე საჯარიმო სანქციებისა, თუმცა ის დააფიქსირებდა ქცევის არასათანადო სტანდარტს, თუ ამას ადგილი აქვს.“



იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრის, ნაზი ჰანეშაშვილის შეკითხვა კანდიდატს: რას ფიქრობთ ცალკეული რელიგიური ჯგუფისთვის განსაკუთრებული როლის მინიჭებაზე და რამდენად თანხვედრაშია ამგვარი მიდგომა სეკულარულ სახელმწიფოსთან?

ნუგზარ სხირტლაძის პასუხი:



ჩვენ სეკულარულ სახელმწიფოში ვცხოვრობთ. დადებულია 2002 წელს მართლმადიდებლურ ეკლესიასთან ხელშეკრულება, თუმცა ჩვენი სახელმწიფო არის სეკულარული და ეს კარგად ჩანს გადაწყვეტილებებში. მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, როდესაც სხვა კონფესიებიდან შემოიტანეს სარჩელი, გაასაჩივრეს ნორმატიული აქტი, რომელის მიხედვითაც მართლმადიდებელი ეკლესია თავისუფლდებოდა დამატებითი ღირებულების გადასა-



ხადებისგან. გადანყვეტილებაში არგუმენტაციაა მოყვანილი, რომ ასეთი პრივილეგიების მიცემა არის დაუშვებელი. ჩვენ სეკულარული სახელმწიფო ვართ და გადანყვეტილებაც მიღებული უნდა იქნეს არა რწმენის, არამედ ფაქტების საფუძველზე.“



რემზაზ ნაღარაძის შეკითხვა კანდიდატს: „გამოხატვის თავისუფლება და პატივისა და ღირსების უფლება. რას ამბობს სტრასბურგის სასამართლო, სჭირდება თუ არა შეფასებას/მოსაზრებას რაიმე ობიექტური საფუძველი, გარკვეული დოზით მტკიცებულების სტანდარტი, რომ არ ჩაითვალოს გადაჭარბებულად?“

ნუგზარ სხირტლაძის პასუხი:

„ შეფასებასთან დაკავშირებით, ვთქვათ, აი, რუსთავი 2-ზე თქვა მკვეთრად, რომ ზღვარს გადასული იყო და იყო თავდასხმა მოსამართლეზე. რაღაც მკვეთრი კრიტიკიუმები ამ მიმართულებით ნაკლებად არის, უფრო არის ფაქტებთან დაკავშირებით, სასამართლოსთან მიმართებით. გავიხსენოთ, მაგალითად, მარტინევი რუსეთის ფედერაციიდან, სადაც ადვოკატმა დაწერა ორი სტატია მოსამართლეზე, რომ მან არასწორად მიიღო და გაიუმჯობესა საბინაო პირობები. სტრასბურგის სასამართლო მსჯელობს ამ საკითხზე და ამბობს, რომ არანაირი ფაქტობრივი გარემოებები ასეთი მსჯელობისთვის არ იყო.“



რემზაზ ნაღარაძის შეკითხვა კანდიდატს: „აქვს თუ არა მნიშვნელობა, გამოხატვის თავისუფლების უფლებით ვინ სარგებლობს – ჩვეულებრივი კერძო პირი თუ თანამდებობის პირი? ანუ ვინ აკეთებს ამ განცხადებას?“

ნუგზარ სხირტლაძის პასუხი:

„ მნიშვნელობა აქვს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადანყვეტილებაში იუსტიციის მინისტრთან მიმართებით ითქვა, რომ, მართალია, იმან ჩაატარა მოკვლევა, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი. როცა ასეთი დიდი სტატუსის მქონე პირია, უფრო საფუძვლიანი ფაქტობრივი გარემოებები უნდა შეეკრიბა ამასთან დაკავშირებით. პერსპექტივა ჩვენი კანონმდებლობის პირობებში, სარჩელი დაკმაყოფილდეს, ნაკლებადაა, მაგრამ რაც შეეხება სტრასბურგს, სტრასბურგი ძალიან ამახვილებს ამაზე ყურადღებას და, მოგეხსენებათ, ეროვნული კანონმდებლობით არ არის შემოფარგლული. არაერთი გადანყვეტილება არსებობს ამასთან დაკავშირებით, როდესაც ფაქტების ნაკლებობის გამო დაფიქსირდა დარღვევა.“



იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრის, სერგო მეთოფიშვილის შეკითხვა კანდიდატს: „რას ნიშნავს თქვენთვის „სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა იყოს კანონიერი და სამართლიანი?“ და დილემის შემთხვევაში თქვენ რას ირჩევთ?“

ნუგზარ სხირტლაძის პასუხი:

„ უპირველესად აღვნიშნავ, რომ ანტიპოდებად არ განვიხილავ მორალს და სამართლის ნორმებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ სრულ სამართლებრივ ნიჰილიზმამდე მივალთ (...). ჩემი ამოცანა ამ მიმართულებით გაიოლებულია, რადგანაც ვმუშაობ ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით და მაქვს ინკვიზიური პროცესი. სხვა დარგის მოსამართლეებისგან განსხვავებით, მე მაქვს შესაძლებლობა, გამოვიჩინო აქტივიზმი, ვურჩიო მხარეს, სხვანაირად ჩამოაყალიბოს სასარჩელო მოთხოვნა, თუ ვხედავ, რომ აგებს, არადა, მართალია ეს კაცი. გამოვითხოვო მტკიცებულებები და ა.შ. მაგრამ როდესაც არის კანონი და კანონთან მიმართებით არის ნეგატიური დამოკიდებულება, ამ შემთხვევაში არსებობდა წლების მიხედვით განსხვავებული

დამოკიდებულება შემადგენლობაში. მაგალითად, იყო პერიოდი, როცა შემადგენლობაში იყო პოზიცია, რომ კონსტიტუციას პირდაპირი მოქმედების ძალა აქვს და არ იყო საჭირო საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვა. მე ერთხელ განსხვავებულ აზრზეც დავრჩი - კოლეგიამ მიიღო სამართლიანი გადაწყვეტილება, (...) თუმცა მე ვთვლიდი, რომ უკეთესი იქნებოდა, საკონსტიტუციო სასამართლოში წარდგინება გაკეთებულიყო.“



იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრის, ზაზა ხარმბაშას შეკითხვა კანდიდატს: „თქვენი აზრით, ადრინდელ და დღევანდელ პერიოდს თუ შევადარებთ, ვვითარდებით თუ არა სასამართლოს დამოუკიდებლობის კუთხით? რა გვქონდა და რა გვაქვს?“

ნუგზარ სხირტლაძის პასუხი:



რა თქმა უნდა, განვითარება ამ მიმართულებით არის და ეს სტატისტიკითაც შეიმჩნევა. სტატუსის გაძლიერება, მუდმივი დანიშვნა, გარანტიების დამატება, დისციპლინური კანონმდებლობის გაუმჯობესება... ეს ყველაფერი დადებითად მოქმედებს დამოუკიდებლობაზე.“



ნაზი ჰანეშაშვილის შეკითხვა კანდიდატს: „ვინ არის თქვენთვის მისაბაძი მოსამართლე და რატომ?“

ნუგზარ სხირტლაძის პასუხი:



თავიდანვე მინდა გითხრა, რომ დღესაც მისაბაძი კოლეგები მყავს: მზია თოდუა, პაატა ქათამაძე და სხვა. ყველაზე მეტ შთაბეჭდილებას ჩემზე ლადო ჭანტურია ტოვებდა. მე მას სტუდენტობიდან ვიცნობ და ყოველთვის სამაგალითო იყო.“



ნაზი ჰანეშაშვილის შეკითხვა კანდიდატს: „ლევან მურუსიძემ იუსტიციის საბჭოში გასაუბრებაზე განაცხადა, რომ იგი არის სასამართლოს ლიდერი. თქვენ 20-წლიანი გამოცდილება გაქვთ მოსამართლედ მუშაობის. თუ გახსენდებათ წარსულში ასეთი მაგალითები, რომ რომელიმე მოსამართლე გამოსულიყო და ეთქვა, რომ სასამართლოს ლიდერია?“

ნუგზარ სხირტლაძის პასუხი:



ლიდერი ნიშნავს, რომ ის აყალიბებს იდეებს, მიზნებს, და ზემოქმედებს ადამიანებზე ამ მიზნების მისაღწევად. ამიტომ მიმაჩნია, რომ ისეთი ტერმინები, როგორიცაა ლიდერი, ფრაქციები, ჯგუფები... ეს უფრო პოლიტიკის სფეროა, ვიდრე სასამართლოსი. შესაძლებელია, ლევანმა ეს განცხადება გააკეთა იმის გამო, რომ ის არის მოსამართლეთა ასოციაციის თავმჯდომარე, თუმცა, კიდევ ერთხელ გეუბნებით, რომ ეს ტერმინოლოგია უფრო სხვა სფეროს მიეკუთვნება.“

# 6.

## კანდიდატის ფინანსური ვალდებულებები და შემოსავლები

### 1. ქონება (უძრავი/მოძრავი)

მეუღლე:



**2017**  
ბინა თბილისში  
88,800 ლ  
(75,78 კვ.მ.)



**1991**  
ბინა თბილისში  
პრივატიზაცია  
(64,1 კვ.მ.)




**2017**  
ბინა თბილისში  
30,000 ლ  
(36,6 კვ.მ.)



**2008**  
სახლი და მიწის  
სენაკში  
მემკვიდრეობა  
(818 + 626 კვ.მ.)


ანაბარი \$/€ (მოცემულია ლარის ეკვივალენტით)



### 2. ფინანსები

2000-2018 წლებში მოსამართლე ნუგზარ სხირტლაძეს სასამართლო სისტემიდან შემოსავლის სახით მიღებული აქვს 1,183,314 ლარი. მოსამართლის მეუღლე, გიული კალანდარიშვილი, 2009 წლიდან საქალაქო სასამართლოში მუშაობს წამყვანი სპეციალისტის პოზიციაზე, საიდანაც, შრომის ანაზღაურების სახით, ჯამში მიღებული აქვს 126,418 ლარი.

ხალფასი



მოსამართლე ნუგზარ სხირტლაძეს ამ დროისთვის საბანკო ვალდებულება არ უფიქსირდება. 2012-2018 წლებში იგი არაერთხელ იყო სამკურნალოდ ვენაში, სადაც მისმა ხარჯებმა, ჯამურად, 47,100 ევრო შეადგინა.



ავტორები: ედუარდ მარიკაშვილი, ანა ნაცვლიშვილი, გიორგი ბერაია, ირაკლი გვარამაძე, ზაზა აბაშიძე  
რედაქტორები: დავით კაიჭაძე, გიორგი ჩიტიძე, სოფიო ასათიანი, ინა გრიგალაშვილი დიზაინი: ბუსიკ დანელია

ფონდი დოკუმენტის მომზადებაში შეტანილი წვლილისთვის მადლობას უხდის:  
სალომე კვირიკაშვილს, მარიამ ორუონიას, ლაშა ჯულაულს, თინათინ ჭაჭუკაშვილს, გვანცა კახიძეს,  
თეონა ბაბუციძეს, ხათია ნიკოლაიშვილსა და შოთა ქობალიას

მომზადებულია საქართველოს ღია საზოგადოების ფონდის მიერ